თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5093847

ნომერი: AR1769547

თარიღი : 24.08.2020

გაცემის თარიღი : 07.09.2020

გაცნობის თარიღი : 07.09.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დუტუ მეგრელი , N 2 , ღვინის აღმართი N8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კეკენაძე პ/ნ 61001060387
- ბათუმი 26 მაისის ქ. N 65

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1769547 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით #AR1763414 განაცხადით მიმდინარე პროცესის დადებითად დასრულებას და ითხოვთ ადმინისტრაციულ წარმოებაში შპს ,,ნატას,, დაინტერესებულ პირად ჩართვას, წარმოების მასალებს სრულად და ასევე ითხოვთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი საქალაქო სამსახურის რეაგირებას უნებართვო მშენებლობის აღკვეთის მიზნით.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2020 წლის 29 ივლისს #AR1763414 ელექტრონული განცხადებით, სამსახურს მომართა მოქალაქე ნონა არჯევანიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, დუტუ მეგრელის ქუჩა, #2 , ღვინის აღმართი #8 # 01.17.01.089.003; საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, 2020 წლის 26 აგვისტოს #5079847 ბრძანებით, მოწონებულ იქნა ქ. თბილისში დუტუ მეგრელის ქ. #2/ღვინის აღმართი #8-ში (ძეგლი) არსებულ შენობაზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების პროექტი და გაიცა უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვა და სანებართვო მოწმობა.

ვინაიდან ზემოაღნიშნული აქტები სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის, ან სამსახურის პასუხის ძიებაში განაცხადის ნომრების მითითების შემთხვევაში.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
